

დისკრიმინაცია და ძალადობა
ლგბტქი ადამიანთა მიმართ
სამართალწარმოების ანგარიში

DISCRIMINATION AND VIOLENCE
AGAINST LGBTQI PERSONS
Litigation Report



„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ WISG

2019

დისკრიმინაცია და ძალადობა ლგბტქი ულამიანთა მიმართ

სამართალწარმოების ანგარიში

დისკრიმინაცია და ძალადობა ლგბტქეი ადამიანთა მიმართ
სამართალწარმოების ანგარიში
ავტორი:
ქეთევან ბახტაძე

Discrimination and Violence against LGBTQI Persons
Litigation Report
Author:
Ketevani Bakhtadze

ISBN: 978-9941-8-1614-7

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2019

© Women's Initiatives Supporting Group (WISG), 2019

E-mail: info@women.ge

Tel.: (032) 237 14 15

www.women.ge

პუბლიკაცია მომზადებულია ILGA-Europe-ის ფინანსური მხარდაჭერით „სამხრეთ კავკასიასა და რუსეთში ლგბტ ადამიანების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა“ პროექტის ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) და ის შესაძლოა არ ემთხვეოდეს ILGA-Europe-ის ოფიციალურ პოზიციას.

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.

This publication was made with the support of ILGA-Europe within the project „Combating Human Rights Violations against LGBT people in the South Caucasus and Russia“. The opinions expressed in the document do not necessarily reflect any official position of ILGA-Europe.

No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

შინაარსი

შესავალი	5
ანგარიშის შესახებ	7
ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაული	8
დისკრიმინაცია	17
ლგბტი ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	20
პერსონალურ მონაცემთა უკანონო გავრცელება	21
„იძულებითი ქამინგ აუთისგან“ დაცვის უფლება	23
ოჯახში ძალადობა	26
ძალადობაგამოვლილი ქალების განათლების უფლების დაცვის ხელშეწყობა	27
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა	30
ტრანსი ადამიანების ხელმისაწვდომობა	
ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე	33
ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურები	
ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებისათვის	33
ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლების სამართლებრივი საფუძვლები	37
2018 წლის სტატისტიკა	43
2017 წლის ანგარიშში შესული ზოგიერთი საქმის შესახებ	47
გენდერის სამართლებრივი აღიარება	47
ლუიზა ლაფერაძე სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წინააღმდეგ	48
შეჯამება	50
გამოყენებული მასალები	51

შესავალი

ევროპის საბჭოს მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანხმად, [რესპოდენტთა] „ინფორმირებულობის დონე ყველაზე მეტად მაღალია ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ განხორციელებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. იმავედროულად, ლგბტ ადამიანების მიმართ არსებული განწყობები ნებისმიერი სხვა ჯგუფის მიმართ არსებულზე უარესია“.¹

2018 წლის 17 აპრილს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის)² რომელიც სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. თუმცა აღნიშნული გეგმა არ მოიცავს ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის ღონისძიებებს. გეგმაში არ არის გაწერილი ღონისძიებები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და ლგბტ ადამიანების შესახებ არსებული სტერეოტიპების შესამცირებლად. გეგმა სრულიად დაკლილია ლგბტ ადამიანების საჭიროებებისგან.

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში, საქართველოს მთავრობისგან არსებობდა დაპირება, რომ 2018 წლის ბოლომდე გეგმაში ცალკე თავში გაიწერებოდა ლგბტ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები,³ თუმცა ეს დაპირება ამ დრომდე არ შესრულებულა. აღნიშნული პრობლემის შესახებ, თავის ანგარიშში მიუთითა გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა სოგის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან

1 ევროპის საბჭო, „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა“. 2018. ხელმისაწვდომია აქ: <https://rm.coe.int/hate-crime-hate-speech-and-discrimination-in-attitudes-and-awareness-g/16808ef62b>

2 საქართველოს მთავრობის დადგენილება „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“. 17/04/2018. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>

3 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2018 წლის 28 სექტემბრის წერილი № GOV 7 18 00031666

დაცვის შესახებ ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზმაც.⁴

დღეს არსებული მდგომარეობით, სახელმწიფოს არ გააჩნია ერთიანი სტრატეგია ჰომო/ბი/ტრანსფობიის წინააღმდეგ საბოლოოვლად, რაც მძიმედ აისახება ლგბტქი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ხელს უშლის მათ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაში.

4 Human Rights Council. Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity. §18. 2019. A/HRC/41/45/Add.1
ხელმისაწვდომია აქ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuJ6IMh0KqfYO9D1vUNMQv4SWO0LSiwgZch7UQCeSdyIM71tmToyZo>

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ 2018 წელს წარმოებული საქმეების ანგარიშს. ანგარიშში წარმოებული საქმეებისა და დოკუმენტირებული შემთხვევების მაგალითზე გაანალიზებულია სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამობატვის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტებია ასევე მსხვერპლთა მიმართვიანობასთან დაკავშირებული პრობლემებური საკითხები. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას 2017 წელს წარმოებული საქმეების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებითაც.

ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს ლგბტქი ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტები და მათზე რეაგირების პრაქტიკები შესაბამისი უწყებების თუ სასამართლოს მიერ.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო ე.წ. „იძულებითი ქამინგ აუთის“ შემთხვევები და ტრანსი ადამიანების პერსონალურ მონაცემთა უნებართვო გავრცელება. რიგ შემთხვევებში ტრანსმა ადამიანებმა მიმართეს შესაბამის უწყებებს და სათანადო სამართლებრივი შედეგიც დადგა.

ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილით მოწივიკაბული დანაშაული

ჰომო/ბი/ტრანსფობიურ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლა მოიცავს ერთი მხრივ რეაგირებას კონკრეტულ ფაქტებზე, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ამგვარი დანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერებს ამაღლებისა და პრევენციის მიმართულებით. დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში ძლიერდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის რეაგირების ინსტიტუციური მექანიზმები, მაგალითად ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის შექმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში,⁵ თუმცა სახელმწიფოს არ აქვს ინტერსექტორული სტრატეგია ამგვარი დანაშაულის პრევენციისთვის.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის არსებობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,⁶ 2018 წელს (20 სექტემბრამდე) სსიპ „112“-ში 156 შეტყობინება დაფიქსირდა „პირებისგან ვინც თავი დააიდენტიფიცირა, როგორც „ლგბტ“ თემის წევრი ან/და სადაც ინიციატორმა დააფიქსირა, რომ შეტყობინება ეხება „ლგბტ“ თემის წევრს“. სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2018 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბრალდებით, „შინაგან საქმეთა სამინისტრომ 53 პირი დააკავა. კერძოდ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დაკავებულ იქნა – 10 პირი“.⁷ საქართველოს გენერალური პროკურორის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის⁸ თანახმად, „2018 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა

5 დეპარტამენტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: <https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti?sub=11451>

6 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 1 ოქტომბრის წერილი № MIA 7 18 02390379.

7 დეტალური ინფორმაცია იხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-2018-tsels-sidzulvilis-motivit-chadenili-danashaulis-braldebit-53-piri-daakava/11660>

8 საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე: <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/saqartvelos-prokuraturis-2018-wels-gaweuli-saqmianobis-angarishi.page>

მიმდინარეობდა 210 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, კერძოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა 28 სისხლის სამართლის საქმეში, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშანი 29 საქმეში... სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 151 პირის მიმართ. მათგან, 15 პირს ბრალდება წარედგინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ხოლო 12 პირს – გენდერული იდენტობის ნიშნით⁹.

WISG-ის იურისტებმა 2018 წელს 38 შემთხვევაზე გაუწიეს ლგბტქი თემის წევრებს კონსულტაცია, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, აქედან 13 ოჯახში ძალადობის შემთხვევა იყო, 9 – ძალადობის შესახებ მუქარა, 4 – ფიზიკური ძალადობა, 4 – ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, 3 – იძულებითი „ქამინგ აუთის“ მუქარა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლები ორგანიზაციას მომართავენ კონსულტაციისთვის, შემდგომში თავს არიდებენ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვას იძულებითი „ქამინგ აუთის“, ხელახალი ვიქტიმიზაციის ან მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ მესამე პირებისათვის ინფორმაციის გადაცემის შიშის გამო.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, 2018 წელს ორგანიზაციის ვებ-გვერდზე განთავსებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების დოკუმენტირების ფორმის⁹ საშუალებით, განხორციელდა 10 შემთხვევის დოკუმენტირება, ხოლო WISG-ის იურისტებმა 4 შემთხვევა დაადოკუმენტირეს. არცერთ დოკუმენტირებულ შემთხვევაზე მსხვერპლს სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს და ინციდენტები სათანდო რეაგირების გარეშე დარჩა.

მიმართვიანობის ბარიერებთან დაკავშირებით გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა სოგის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზმა საქართველოს შესახებ ანგარიშიც მიუთითა: „მსხვერპლების განცხადებით, მათ არ სურთ ინციდენტების თაობაზე მიმართონ პოლიციას – რაც მართლმსაჯულების პირველი რგოლია. მიზეზად მიუთითებენ: თემთან დაკავშირებით არსებულ სტიგმას და საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის არანებაყოფლობითი გამჟღავნების შიშს; ძალოვანი უწყებების მიმართ ნდობის არქონას და პოლიციელთა მხრიდან ფობიური ქცევისა და დამოკიდებულებების გამოვლენას; მიზეზებს შორის არის სირცხვილის გრძნობაც, რაც ინტერნალიზებული ფობიითაა გამოწვეული. სამართლებრივი შედეგების მიღწევის ნაკლებობა, ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის და მისი აღსრულების მექანიზმების შესახებ დაბალი

9 დოკუმენტირების ფორმა ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.women.ge

ცნობიერება, ისევე, როგორც მართლმსაჯულებაზე მწირი ხელმისაწვდომობა, განაპირობებს სურვილის არქონას, რომ დანაშაულის შესახებ განაცხადონ“.¹⁰

2018 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, თანამშრომელთა გადამზადების და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ერთიანი სტატისტიკის წარმოების თაობაზე საქართველოს მთავარ პროკურორს და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ზოგადი წინადადებით მიმართა. ომბუდსმენმა ზოგად წინადადებაში აღნიშნა, რომ „გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოიკვეთა ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაიწყო, თუმცა, ბუნდოვანი რჩება, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ასეთი მოტივის იდენტიფიცირების მიზნით“.¹¹

WISG-ის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულის ფაქტებზე გამოძიება ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით იწყება, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“. ამგვარი ინციდენტების შედეგად დაზარალებულები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ დანაშაულის ჩადენა განპირობებული იყო მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიმართ შეუწყნარებლობით. რიგ შემთხვევებში სამართალდამცავი უწყებების მხრიდან მოხდა ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებაც. თუმცა მაინც გამონკვევად რჩება ერთი მხრივ, დამნაშავეთა იდენტიფიცირება და მეორე მხრივ, ამგვარი დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა მიმართვიანობა.

10 Human Rights Council. Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity. §40. 2019. A/HRC/41/45/Add.1 ხელმისაწვდომია აქ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuJ6IMh0KqFY09D1vUNMQv4SWOOLSwgZcH7UQCeSdyIM71tmToyZo>

11 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 25 აგვისტოს ზოგადი წინადადება „დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.ombudsman.ge/geo/zogadi-tsinadadebebi/saxalxodamcvelma-diskriminaciuli-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebis-mimarta>

საქმე #1

ჰომოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაული გიი გამაპაცის მიმართ

2018 წლის 6 სექტემბერს ღამის საათებში, თბილისში, ერთ-ერთ კაფე ბართან, სადაც ხშირად იკრიბებიან ლგბტქი ადამიანები, გეი მამაკაცს ბ. ყ.-ს და მის მეგობარს თავს დაესხა მისთვის უცნობიოთხი პირი. დაზარალებულთა განმარტებით, ბარიდან გამოსულები ტაქსში ჯდებოდნენ, რა დროსაც მათთვის უცნობი პირები მიუახლოვდნენ, აყენებდნენ ჰომოფობიურ შეურაცხყოფას და თავის არეში დაარტყეს ხელი. დაზარალებულებმა მოახერხეს გაქცევა და შემთხვევის ადგილი დატოვეს შემხვედრი ტაქსით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარი ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ (სსკ, მუხლი 126 (1)). საქმეზე მომუშავე ადვოკატის განმარტებით, ამ დრომდე არ მომხდარა ბ. ყ.-ის და მისი მეგობრის დაზარალებულად ცნობა და არც თავდამსხმელები დაუკავებიათ.

დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ დანაშაულის ჩადენა განაპირობა მოძალადის ჰომოფობიურმა წინასწარგანწყობებმა, შესაბამისად თავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლად მიიჩნევენ.

საქმე #2

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სექსმუშაკი ტრანსი ქალბუის მიმართ

2018 წლის 12 ნოემბერს ღამის საათებში, თბილისში, ე.წ. „პლეშკის“ (სექს მუშაკთა თავშეყრის ადგილი) მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანს ქალებს ვ. ტ.-ს და მ. ბ.-ს თავს დაესხა მათთვის უცნობი ოთხი პირი. დაზარალებულთა განმარტებით, თავდამსხმელები ავტომობილიდან გადმოვიდნენ, ქალებს მიაყენეს ჰომო/ტრანსფობიური შეურაცხყოფა და დაიწყეს მათი ცემა – ურტყამდნენ ხელებსა და ფეხებში, მოქმედებდნენ ჯგუფურად.

დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ დანაშაულის ჩადენა განაპირობა მოძალადის ჰომო/ტრანსფობიურმა განწყობებმა, რადგან თავდამსხმელები იყენებდნენ ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენას. შესაბამისად ვ. ტ. და მ. ბ. თავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლად მიიჩნევენ.

სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 126-ე მუხლით, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარი ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ (სსკ, მუხლი 126 (1)). ოთხივე თავდამსხმელს ალკევის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოში და ადვოკატის ინფორმაციით, სასამართლო იმჯელებს ტრანსფობიური სიძულვილის მოტივზე.

საქმე #3

ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

2018 წლის 5 აგვისტოს, თბილისში, ე.წ. „პლეშის“ (სექს მუშაკთა თავმჯდომარის ადგილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, ლამის საათებში ტრანს ქალს ე. ჯ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი ორი პირი.

დაზარალებულის განმარტებით, თავდამსხმელები მოძრაობდნენ ფურგონის ტიპის ავტომობილით და შეამჩნიეს რა ე. ჯ., გააჩერეს მანქანა, გადმოვიდნენ და მისი მიმართულებით წავიდნენ. ქალმა სცადა გარიდებოდა, თუმცა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა – თავში ორჯერ დაარტყა ხელი. ე. ჯ.-მ შეძლო თავის დაღწევა და გაიქცა, ხოლო თავდამსხმელები აღარ აღვევნიბიან და ფურგონითვე დატოვეს შემთხვევის ადგილი.

თ. ჯ.-მ მიმართ პოლიციას და გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარი ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ (სსკ, მუხლი 126 (1)). დაზარალებულმა ვერ აღწერა თავდასხმელთა გარეგნობა დეტალურად და ვერც ის ავტომობილი, რომლითაც ისინი მოძრაობდნენ. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები, თუმცა აღწერილობის სიმწირის გამო, ვერ მიხერხდა თავდამსხმელთა იდენტიფიცირება. გამოძიება ამ დრომდე გრძელდება.

დაზარალებული მიიჩნევს, რომ მის მიმართ დანაშაულის ჩადენა განაპირობა მოძალადეთა ჰომო/ტრანსფობიურმა განწყობებმა და შესაბამისად თავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლად მიიჩნევს.

საქმე # 4

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ტრანსი ქალის მიმართ

2018 წლის 24 ივლისს, თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლამის საათებში ტრანს ქალს ა. მ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი სამი პირი.

დაზარალებულის განმარტებით, ერთ-ერთი თავდამსხმელი გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით და ა. მ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. დაზარალებულმა სცადა კონფლიქტის თავიდან არიდება და გაეცალა შემთხვევის ადგილს.

თუმცა თავდამსხმელმა მას ხელი დაარტყა სახის არეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა რამდენიმე წუთის მანძილზე გონებაც კი დაკარგა. გონზე მოსვლის შემდეგ, ქალმა იყვირა პატრულს გამოვიძახებო, რასაც მოჰყვა განმეორებითი ძალადობა და ა. მ.-ს სისხლდენა დაწყო სახიდან.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა პოლიციამ სამივე თავდამსხმელი დააკავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო. მოგვიანებით ერთი თავდამსხმელის მიმართ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ (სსკ, მუხლი 126 (1)). სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, დანაშაულის კვალიფიკაცია შეიცვალა და თავდამსხმელის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა გაგრძელდა 120-ე მუხლით, რაც „ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს“ (სსკ, მუხლი 120 (1)).

ა. მ.-ის ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულმა დაზარალებულს კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა გადაუხადა, რის გამოც სასჯელი გარკვეულწილად შეუმსუბუქდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ბრალდებულები ცნობილ იქნენ დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 120 მუხლით (1) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დისკრიმინაციული მოტივით. სასამართლომ მიუთითა სსკ 53¹ (1) მუხლზე, რომლის თანახმად, „დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ... ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად მხოლოდ ჯარიმის გადახდა დააკისრა თავდამსხმელებს 2000 ლარის ოდენობით.

საქმე #5

ტრანსფორმირი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

2018 წლის 1 ივლისს, ლამის საათებში, ქუთაისში, ერთ-ერთ სკვერში ტრანს ქალებს გ. ს.-სა და ვ. ტ.-ს თავს დაესხა მათთვის უცნობი 4 პირი. დაზარალებულთა განმარტებით, თავდამსხმელები იყენებდნენ ჰომო/ტრანსფორმირი სიძულვილის ენას, რასაც მოჰყვა ფიზიკური თავდასხმა ქალებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ (სსკ, მუხლი 126 (1)). დაზარალებულებმა შეძლეს მხოლოდ ერთი თავდამსხმელის ამოცნობა, რომელიც აღმოჩნდა არას-

რულწლოვანი.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა და გამოიყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა – განრიდება.

საქმე #6

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ტრანსი ქალის მიმართ

2018 წლის 2 თებერვალს ზ. ბ. მეგობარებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

დაზარალებულის განმარტებით, ის ელოდებოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას, რომელსაც სამედიცინო მომსახურების მისაღებად სხვა კლინიკაში უნდა გადაეყვანა. ამ დროს კლინიკის ეზოში ჩაიარა მისთვის უცნობმა ორმა პიროვნებამ, გ. ა-ქემ და ქ. გ-ანმა, რომლებმაც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ მიუახლოვდნენ და ფიზიკურად იძალადეს მასზე – თავის არეში ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს.

საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რაც გულისხმობს „ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ (სსკ, მუხლი 126 (1)).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 9 ივლისის განაჩენით, ორივე ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (1) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვის ვადით. სასამართლომ განაჩენში მიუთითა სასჯელის დამამძიმებელ გარემოებაზე – დანაშაულის ჩადენა გენდერული იდენტობის ნიშნით (სსკ 53¹ (1)).

საქმე #7

ოჯახში კალაღობა ტრანსგენდერი კაცის მიმართ

თ. გ. ტრანსგენდერი კაცია, რომელიც 2016 წლის 23 თებერვალს ქუთაისში, საკუთარ სახლში გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი დედის მხრიდან. მისი განმარტებით, თბილისში იმყოფებოდა, როცა დედამ სოციალურ ქსელში Facebook ნახა მისი ფოტოსურათები და მისწერა ჰომოფობიური შინაარსის ტექსტები,

უნოდებდა ლეზბიანკას და ა.შ. თ. გ.-მ როგორც ყოველთვის უარყო მისი სექსუალური ორიენტაცია და ამას მოყვა კამათი დედასთან.

ორი დღის შემდეგ დედამ ისევ მიწერა, რომ მასთან საქმე ჰქონდა და ქუთაისში ჩასვლა მოსთხოვა. თ. გ.-ს არც უფიქრია, რომ მის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით სთხოვდა შეხვედრას დედა და წავიდა ქუთაისში. ჩასვლისთანავე დედამ შვილის მიმართ გამოიჩინა აგრესია, რადგან არ მოეწონა მისი ვარცხნილობა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მიუთითებდა, რომ მისი გრეგნობა არ შეესაბამებოდა ქალის გარეგნობას, გადაუყარა ტანსაცმელი და დატოვა მხოლოდ თავისივე ნაყიდი კაბები, რომელიც თ. გ.-ს არასდროს ჩაუცვამს. ამას კვლავ მოჰყვა კამათი და დედამ თ. გ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა და უთხრა: „თუ მართლა ლესბოსელი ხარ, იცოდე ყელს გამოგჭრი და მე თუ ვერ მოვახერხე, სანათესაოც არ გაცოცხლებსო“.

თ. გ. განმარტავს, რომ ეკონომიკურად დედაზე იყო დამოკიდებული და რადგან მას გზის ფულის მოცემა არ უნდოდა, აღმოჩნდა მის ტყვეობაში სახლში. თ. გ. აღნიშნავს, რომ დედამ ყველასთან აუკრძალა კონტაქტი, გათიშა ინტერნეტი და რადგან ტელეფონი არ ჰქონდა, სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. თ. გ.-ს განმარტებით, იგი ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა 9 თვის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე დედა ყოველდღიურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეძახდა არანორმალურს, ხანდახან აიძულებდა იმ ტანსაცმლის ტარებას, რომელიც არ უნდოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუმრები მიდიოდნენ მათ სახლში; ამბობდა, რომ თუ არ დაუჯერებდა, ფულს არ მოსცემდა და ქუჩაში მოუწევდა ცხოვრება.

თ. გ. განმარტავს, რომ სახლიდან წამოსვლის მცდელობა არ ჰქონია, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდა. იგი ამბობს, რომ მაშინ ახალი გაკეთებული ჰქონდა კისტომის ოპერაცია და გადაადგილებაც კი ძალიან უჭირდა. ამდენად, ვერ შეძლებდა თავის გატანას ქუჩაში.

თ. გ. აღნიშნავს, რომ მეზობლებიც იყვნენ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის მონმე. მისი განმარტებით, ნერვიულობის ნიადაგზე დაემართა დეპრესია და დღემდე ძალიან უჭირს შედეგებთან გამკლავება: „ამ დრომდე მაქვს დეპრესია, შფოთვა, გაღიზიანება, მიჭირს დაძინება და მაქვს ირაციონალური შიშებიც“.

შემთხვევის დოკუმენტირება WISG-მა 2018 წლის 11 ივნისს შეძლო. ბენეფიციარი კვლავ განიცდიდა დედის მხრიდან ძალადობას, რაც გამოიხატებოდა შევინრობებაში, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, იძულებაში და ა. შ. მიუხედავად ამისა, თავს იკავებდა პოლიციისთვის მიმართვისგან, რადგან ეკონომიკურად დედაზე იყო დამოკიდებული.

2018 წლის სექტემბერში თ. გ.-მ მეგობრის დახმარებით დატოვა საქართველო და თავშესაფრით თხოვნით მიმართა ევროკავშირის ნეერ ქვეყანას.

საქმე #8

ჰომოფობიური ინციდენტი საჯარო სივრცეში

თ. გ. ლესბოსელი ქალია, რომელიც 2018 წლის 12 მარტს საღამოს საათებში თბილისში პარტნიორთან ერთად იმყოფებოდა გზის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ის და მისი მეგობარი ქვეითად მოძრაობდნენ. ქალის განმარტებით, ორმა მათთვის უცნობმა პიროვნებამ თავი გადმოყო საცობში გაჩერებული ტაქსიდან და ხმამაღლა დაიწყო გინება და ჰომოფობიური შეურაცხყოფა. თ. გ.-მ სცადა ყურადღება არ მიექცია, მაგრამ მათი საქციელი აუტანელი გახდა და სცადა შეპასუხება, რამაც ისინი კიდევ უფრო გააღიზიანა და ძალადობით დაემუქრნენ. ამაზე ქალებს მოუწიათ გზიდან გადახვევა, რომ დაშორებოდნენ თავდამსხმელს.

თ. გ.-მ კონსულტაციისთვის WISG-ს მომართა, თუმცა პოლიციისთვის მიმართვისგან თავი შეიკავა და შემთხვევის დოკუმენტირება მოხდა. იურისტთან საუბარში ქალი განმარტავს: „თავიდან ძალიან გავბრაზდი და სირცხვილის გრძნობა მქონდა, რადგან უამრავი ადამიანი შეესწრო ინციდენტს, მათ შორის სხვა მანქანებში მსხდომი ხალხიც. მოგვიანებით კიდევ უფრო გავღიზიანდი და უსუსურობის შეგრძნება მქონდა, რადგან წინააღმდეგობის განწევა და თავის დაცვა არ შემიძლო“.

დისკრიმინაცია

სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაცია ლგბტქი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება. WISG-ის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ლგბტქი ადამიანები ყველაზე ხშირად დისკრიმინაციულ მოპყრობას აწყდებიან სამუშაო ადგილას, სხვადასხვა სერვისის, მათ შორის გასართობი დაწესებულებების სერვისის მიღების დროს, ბინის გამქირავებელთა მხრიდან და ა. შ.

2018 წელს WISG-ის იურისტებმა კონსულტაცია განიეს დისკრიმინაციის 16 შემთხვევაზე, აქედან 9 შემთხვევა წარმოადგენდა სავარაუდო დისკრიმინაციას გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით, 1 – დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 2 – დისკრიმინაციას სხვა საფუძველით, 3 – დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, ხოლო 1 – სექსუალურ შევიწროებას. გარდა ამისა, მოხდა 4 შემთხვევის დოკუმენტირება, რომელიც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავდა, თუმცა მსხვერპლებმა სასამართლოსთვის ან სახალხო დამცველისთვის მიმართვისგან თავი შეიკავეს.

ხშირად დისკრიმინაციის მსხვერპლები თავს იკავებენ სასამართლოსთვის მიმართვისგან, რადგან ცდილობენ თავიდან აირიდონ ე.წ. „იძულებითი ქამინგ აუთი“ და ხელახალი ვიქტიმიზაცია. რაც შეეხება სახალხო დამცველს, თემში ეს უწყება განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს, თუმცა აქ პრობლემას წარმოადგენს სახალხო დამცველის რეკომენდაციის ან ზოგადი წინადადების აღსრულების მექანიზმი. სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს სტრატეგია საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და ლგბტქი ადამიანების შესახებ გავრცელებული სტერეოტიპების შესამცირებლად.

საანგარიშო პერიოდში WISG-ის იურისტებმა იმუშავეს დისკრიმინაციის 5 საქმეზე, რომელიც სულ 9 განმცხადებელს ეხებოდა, თუმცა ანგარიშში მხოლოდ რამდენიმე მათგანი მოხვდა.¹²

12 იხილეთ ქვემოთ საქმე №9, №12, №14 და ლუიზა ლაფერაჟე სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წინააღმდეგ.

საქმე #9

დისკრიმინაცია გენდერული იდენტობის ნიშნით ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას

2018 წლის 8 თებერვალს ტრანსგენდერ ქალ ნ. მ.-სა და ლ. მ.-ს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება ლ. მ.-ის უძრავი ქონებით (მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ...) სარგებლობასთან დაკავშირებით. შეთანხმების თანახმად, ნ. მ.-ს სარგებლობაში გადაეცა ლ. მ.-ს კუთვნილი უძრავი ქონება, სადაც უნდა ეცხოვრა პარტნიორთან და ორ მეგობარ ტრანსგენდერ ქალთან ერთად, სანაცვლოდ კი ნივთის მუპატრონისთვის გადაეხადა 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარი ყოველთვიურად. შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში ლ.მ.-მ შეიტყო, რომ ნ.მ. ტრანსგენდერი ქალია და 2018 წლის 16 თებერვალს მან და მისმა შვილმა ზ.მ. მიაყენეს შეურაცხყოფა და მოსთხოვეს მისი ფართის დატოვება დაუყოვნებლივ. ნ.მ. ვარაუდობს, რომ ლ.მ.-ს მოთხოვნა მოტივირებულია ტრანსფობიური სიძულვილით და მისი გენდერული იდენტობისა და გამობატვის მიმართ შეუწყნარებლობით.

2018 წლის 16 თებერვალსვე ნ.მ.-მა გამოიძახა პოლიცია, რადგან შეეშინდა ლ.მ.-სა და მის შვილთან კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებასა და მისი და მისი მეგობრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებამდე რომ არ გამწვავებულიყო. 2018 წლის 21 თებერვალს ზ.მ. სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ნ.მ.-ს მეგობარ ტრანსგენდერ ქალებს. მუქარის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2018 წლის 23 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის მე-2 განყოფილებაში, მდებარე ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე. პოლიციის ძალისხმევითა და დახმარებით მოხერხდა ზემოაღნიშნული ფართის მუპატრონესა და მის შვილთან მედიაცია. მედიაციის შედეგად ნ.მ.-სა და მის მეგობრებს საშუალება მიეცათ ახალი საცხოვრებლის მოძებნამდე და რჩენილიყვნენ ლ.მ.-ს კუთვნილ ფართში. 2018 წლის 7 მარტს ქალებმა შეძლეს ახალი საცხოვრებლის მოძიება და დატოვეს ზემოაღნიშნული ფართი.

ნ. მ.-მ მიიჩნია, რომ დამქირავებლის მოპყრობა მის მიმართ განპირობებული იყო მისი გენდერული იდენტობის მიმართ შეუწყნარებლობით და დისკრიმინაციის დადგენის თხოვნით მიმართ საქართველოს სახალხო დამცველს.

სახალხო დამცველმა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს. დეპარტამენტის 2018 წლის 14 მაისის წერილის თანახმად, ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ნ. მ.-ს მეგობარი ტრანსგენდერი ქალის ა.მ.-ს მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტზე. წერილში აღნიშნული იყო, რომ პოლიციის მიერ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, გამოიკითხნენ მოწმეებიც, თუმცა მითითებული დროისთვის დისკრიმინაციული მოტივი არ იკვეთებოდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა და არავინ იყო ცნობილი დაზარალებულად ან ბრალდებულად.

თუმცა გამოძიება კვლავ გრძელდებოდა.

სახალხო დამცველმა თავის 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეწყვიტა საქმის წარმოება საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-9 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ორჯერ გამოითხოვა ინფორმაცია მოპასუხე ლ.მ.-სგან, თუმცა ნერილობითი პასუხი არ მიუღია. გამჭირავებულთან ზეპირი გასაუბრების დროს, ლ.ნ.-მა განაცხადა შემდეგი: ის არ იცნობს ნ.მ.-ს და ქირავნობის ხელშეკრულება დადო სხვა პიროვნებასთან ერთი თვის ვადით. შესაბამისად, მტკიცებულებების არარსებობის გათვალისწინებით, განსახილველ საქმეში დისკრიმინაცია არ გამოიკვეთა.

ლგბტკი ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის უფლება

საანგარიშო პერიოდში წარმოებული საქმეების მაგალითზე თვალსაჩინო გახდა ლგბტკი ადამიანების ე.წ. „იძულებითი ქამინგ აუთით“ გამოწვეული პირად ცხოვრების უფლებაში ჩარევის ფაქტები და ამგვარი ფაქტებით გამოწვეული ზიანი.

ადამიანის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა პირადი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალ საქმეში აღნიშნა, რომ „გენდერის თვითიდენტიფიკაცია, სახელი, სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ცხოვრება ექცევა პერსონალურ სფეროში, რომელიც დაცულია [კონვენციის] მე-8 მუხლით“.¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე, მრავალ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ძალიან ფართო სპექტრს უფლებრივი კომპონენტებისა: პიროვნების თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლებას, პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლებას – როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად საკუთარი თავის შეგრძნების, გააზრების უფლებას; საკუთარი სქესისა და სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრას, სქესის შეცვლის უფლების ჩათვლით და სხვა; ასევე ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, თვითგამოხატვის უფლებას და ა.შ.“¹⁴

ჰომო/ბი/ტრანსფობიურ საზოგადოებაში ლგბტკი ადამიანების ნაწილი ცდილობს არ გაამხილოს საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია. საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტიგმისა და ლგბტკი ადამიანებთან დაკავშირებული სტერეოტიპების გამო, თემის წევრები შიშობენ, რომ „ქამინგ აუთის“ შემთხვევაში შესაძლოა გახდნენ დისკრიმინაციული მოპყრობისა და ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის მსხვერპლნი. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ

13 Pretty v. The United Kingdom, (Application no. 2346/02), §61, 29 April 2002 , 29/07/2002. იხილეთ აქ: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-60448>

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. № 2016 წლის 14 აპრილი. № 1/1/625,640.

ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>

ინფორმაციის გამჟღავნებით მუქარა და შანტაჟიც საკმაოდ გავრცელებული ძალადობის ფორმაა ლგბტქი ადამიანებზე.

გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა პიროვნების სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია უკანონოდ დაამუშავოს სახელმწიფო ინსტიტუციამ, თუ უნებართვოდ გაავრცელოს ნებისმიერმა მესამე პირმა. ასეთ შემთხვევებს თუ თან ახლავს მუქარა და შანტაჟი, შესაძლებელია სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვა, რაც გამოიწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან მუქარა და შანტაჟი დასჯადი ქმედებაა.¹⁵

2018 წელს WISG-ის იურისტებმა 3 შემთხვევაზე გასწიეს კონსულტაცია, რომელიც ე.წ. „იძულებითი ქამინგ აუთის“ მუქარას, ხოლო 1 შემთხვევა პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავებას ეხებოდა. თუმცა ამგვარი ინციდენტის შედეგად დაზარალებულებმა სათანადო უწყებებისთვის მიმართვისგან თავი შეიკავეს. მუშაობა მოხერხდა მხოლოდ 2 საქმეზე,¹⁶ სადაც რეაგირებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან მოხდა საქმის წარმოება, ხოლო ერთ-ერთმა ტრანსმა ქალმა სამოქალაქო სარჩელიც აღძრა იმ იურიდიული პირის წინააღმდეგ, რომელმაც მისი პერსონალური მონაცემები უკანონოდ დაამუშავა.

პერსონალურ მონაცემთა უკანონო გაქცევა

იმ შემთხვევაში, როდესაც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია მუშავდება ან მჟღავნდება უკანონოდ, არსებობს შესაძლებლობა, რომ მონაცემთა სუბიექტმა მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.¹⁷ საქართველოს კანონში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად მიჩნეულია მხოლოდ მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის სექსობრივ ცხოვრებასთან.¹⁸ ამგვარი მონაცემების დამუშავებას კანონი კრძალავს, თუმცა დასაშვებად მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის წერილობითი

15 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 151. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208>

16 იხილეთ საქმე №10 და №11.

17 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, წარსულში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, შესახებ ინფორმაცია იხილეთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://personaldata.ge/ka/about-us>

18 საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. მუხლი 2 (ბ). ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=20>

თანხმობის და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.¹⁹ იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტორი ჩათვლის, რომ მონაცემი კანონის დარღვევით დამუშავდა, გამოიყენებს კანონით გათვალისწინებულ რომელიმე ღონისძიებას.²⁰

საანგარიშო პერიოდში WISG-ის იურისტებმა აწარმოეს საქმე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის წინააღმდეგ.²¹ ეს საქმე წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს არასამსახურებრივი მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და კონფიდენციალობის დარღვევის თვალსაზრისით. ამგვარი შემთხვევები ნეგატიურ გავლენას ახდენს, როგორც უშუალოდ სამართალდარღვევის შედეგად დაზარალებულ ადამიანზე, ისე ზოგადად ლგბტპი თემის წევრების სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვიანობაზე. სწორედ აღნიშნული ფაქტები ქმნის და ამყარებს ინსტიტუციურ ბარიერებს, რომელიც ხელს უშლის ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს, რომ რეაგირებისთვის მიმართონ შესაბამის უწყებებს.

საქმე #10

პოლიციელის მიერ ტრანსი ქალის პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავება

WISG სამართლებრივ დახმარებას უწევდა ტრანსგენდერ ქალს ა. ფ.-ს, რომლის პერსონალური მონაცემები უკანონოდ დამუშავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ. 2018 წლის 27 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული ა. ფ.-ს პერსონალური მონაცემები არასამსახურებრივი მიზნით გადაამოწმა ამავე სამინისტროს აფხაზეთის ა/რ დეპარტამენტის უბნის ინსფექტორების სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ე. გ.-მ.

ტრანსი ქალის განმარტებით, იმ სისხლის სამართლის საქმის მასალები, სადაც მისი პერსონალური ინფორმაცია ფიგურირებდა, მისი ნებართვის გარეშე გააწვდეს მის დედას. ამ უკანასკნელმა ხსენებულ შემთხვევამდე არაფერი იცოდა მისი გენდერული იდენტობის შესახებ და სწორედ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების შემდეგ შეიტყო. დაზარალებული განმარტავს, რომ ამ ფაქტმა ნეგატიური გავლენა მოახდინა მათ ურთიერთობაზე და წარმოშვა ძალადობის პროვოცირების საფრთხე. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მან უარი განუცხადა ინსპექტორს, რომ

19 იქვე მუხლი 6.

20 კონკრეტული ღონისძიებები განერილია საქართველოს კანონის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ მე-16 მუხლში. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=4>

21 იხილეთ საქმე №10.

კონტაქტი დაემყარებინა დედასთან. სწორედ ამ მიზეზის გამო, ინსპექტორმა ვერ შეძლო დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადანყვეტილებით ე. გ. ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრა.

ასევე, შსს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, ე. გ.-ის ქმედება მიჩნეულ იქნა დისციპლინურ გადაცდომად და მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა საქმეზე მიღებული გადანყვეტილება არ გადასცა განმცხადებელს. ინსპექტორმა თავის 2018 წლის 10 დეკემბრის წერილში განმარტა, რომ „ვინაიდან განცხადების განხილვა მიმდინარეობდა საიდუმლო საქმისწარმოების ფარგლებში ინსპექტორის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას მოგანოღოთ გადანყვეტილების ასლი და დეტალური ინფორმაცია განცხადების განხილვისას დადგენილი გარემოებების შესახებ“.

„იქულეებითი ქამინგ აუთისგან“ ღაცვის უფლება

ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავებაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეაგირების გარდა, შესაძლებელია, რომ ამგვარი ინციდენტის შედეგად დაზარალებულმა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ე.წ. „იქულებითი ქამინგ აუთის“ შემთხვევებში არსებობს სამოქალაქო წესით თავის დაცვის შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“.²² მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავს და ამ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება მოხდება ბრალეული მოქმედებით, მას შეუძლია სამოქალაქო სარჩელი აღძრას სამოქალაქო წესით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.²³

22 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 18 (2). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>

23 იქვე, მუხლი 18 (6).

სააგარიშო პერიოდში WISG-მა აწარმოა ერთ-ერთი ტრანსი ქალის საქმე²⁴ როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, ისე სასამართლოში. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ინციდენტების შედეგად დაზარალებულმა ადამიანებმა გამოიყენონ არსებული სამართლებრივი მექანიზმები და არ დატოვონ შემთხვევა რეაგირების გარეშე.

საქმე #11

ტრანსგენდერი ქალის პერსონალურ მონაცემთა უნებართვო გავრცელება

ზ. ბ. ტრანსგენდერი ქალია, რომელიც 2018 წლის 4 თებერვალს სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალდა და დასჭირდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. სამედიცინო დახმარების მისაღებად, იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა შპს ალექსანდრე ალა-დაშვილის სახელობის კლინიკაში.

მოგვიანებით კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა კიდევ ერთი ტრანსგობიური სიძულვილით მოტივირებული ინციდენტი, რასაც გამოეხმაურა კლინიკა და სოციალურ ქსელ Facebook-ის საკუთარ ოფიციალურ გვერდზე განათავსა პოსტი, რომელიც შეიცავს ინციდენტის შედეგად დაზარალებული ზ. ბ.-ს პერსონალურ მონაცემებს, კერძოდ მის სახელსა და გვარს, რომლითაც მას იცნობენ ახლობლები და მეგობრები და მის პირადობის მონუმბოში მითითებულ სახელსა და გვარს. პოსტში ასევე მითითებულია დაზარალებულის განსაკუთრებული პერსონალური მონაცემები, კერძოდ: მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე პაციენტს კლინიკის ადმინისტრაციისთვის თანხმობა არ განუცხადებია და არც საჯაროდ უსაუბრია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ისე, რომ ერთდროულად იდენტიფიცირებადი ყოფილიყო მისი სახელი და გვარი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ზ. ბ.-ის განმარტებით, ის პირები, ვინც კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე მას თავს დაესხნენ, არ იყვნენ დაკავებულები იმ დროისთვის, როდესაც კლინიკამ ზემოაღნიშნული პოსტი გაავრცელა სოციალურ ქსელში. ქალი ფიქრობს, რომ კლინიკამ ასეთი ნაბიჯით საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მომხდარზე 2018 წლის 9 თებერვალს WISG-მა მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ინსპექტორის 2018 წლის 12 თებერვლის გადანყვეტილებით გ-1/069/2018 ზ. ბ.-ის განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით ჩატარდება შპს ალექსანდრე

24 იხილეთ საქმე №11

ალადაშვილის სახელობის კლინიკის არაგემიური შემონმება.

2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ ცნეს სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა, 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, კლინიკას, ასევე, დაევალა სოციალურ ქსელში ზ. ბ.-ის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი შეტყობინების წაშლა. 2018 წლის 30 მაისს ზ. ბ.-მ სასამართლოს თავისი პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევის გამო კლინიკისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით მიმართა.

2018 წლის 30 მაისს ზ. ბ.-მ სამოქალაქო სარჩელი აღძრა შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ წინააღმდეგ და მოითხოვა კომპენსაცია პირადი საიდუმლოების დარღვევის გამო. 2018 წლის 5 დეკემბერს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ სასამართლოს საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ტრანსგენდერი ქალი შეშინდა რა საქმის ღია სხდომაზე განხილვით, 2018 წლის 13 დეკემბერს შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკასთან“ მორიგებას დასთანხმდა კომპენსაციის სანაცვლოდ.

ოჯახში ძალადობა

„ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირების შემდგომ გატარდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და დაიხვენა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამართალდამცავთა მხრიდან რეაგირების მექანიზმი. მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ინდივიდზე ორიენტირებული მექანიზმის შექმნა.

WISG-ის იურისტებმა 2018 წელს სამართლებრივი კონსულტაცია გასწიეს 13 ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე, საიდანაც მხოლოდ ერთმა მიმართა რეაგირებისთვის სამართალდამცავ უწყებას. მთელი რიგი ინსტიტუციური ბარიერების გარდა, რომელიც უკავშირდება სექსუალური ორიენტაციის გამხელის შიშს ან მეორად ვიქტიმიზაციას, უზარმაზარ ბარიერს წარმოადგენს მსხვერპლთათვის მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება.

სააგარიში პერიოდში წარმოებულ ერთ-ერთ ოჯახში ძალადობის საქმეში,²⁵ მსხვერპლის ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადე მშობლებზე წარმოადგენდა უზარმაზარ ბარიერს სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვიანობაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მსხვერპლმა მანაც მიმართა პოლიციას რეაგირებისთვის, თუმცა სრულიად დაკარგა ის ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც სწავლის დაფინანსებისთვის სჭირდებოდა. თუმცა მეორე შემთხვევაში,²⁶ მსხვერპლმა ვერ გაბედა დანაშაულის შესახებ გაცხადება.

ზემოთ აღწერილი შემთხვევები ნათელი მაგალითია იმისა, რომ აუცილებელია მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით ქმედითი მექანიზმი შეიქმნას და მსხვერპლის გაძლიერება მოხდეს იმგვარად, რომ მისი მდგომარეობა არ გაუარესდეს ძალადობის შესახებ გაცხადების შემდგომ.

25 იხილეთ საქმე №12

26 იხილეთ საქმე №7

ძალადობა გამოვლილი ქალების განათლების უფლების დასაცავის ხელშეწყობა

ხშირად, მშობლების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები თავს იკავებენ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვისგან, რადგან მოძალადე მშობლები უზრუნველყოფენ მათ სწავლის საფასურის დაფინანსებით.

საქართველოს კანონის “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” მე-8 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სოციალურ მომსახურებას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისათვის. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურის ორგანოები და სასამართლო ორგანოები.

კანონით არ არის დარეგულირებული თუ რა სახის მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ქალებისათვის, ვინც დაზარალებულია ოჯახში ძალადობის შედეგად. ხსენებული სამინისტროს მიერ გასატარებელი ღონისძიებები განერილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის დადგენილებით №175 დამტკიცებულ “ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში”.²⁷ ეს ღონისძიებები არ მოიცავს ძალადობაგამოვლილი სტუდენტის ქალებისა და გოგონების მხარდაჭერას განათლების მისაღებად, მათ შორის არ მოიცავს სტუდენტი ქალებისა და გოგონებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსებას. თუმცა, სამინისტროს სისტემაში

27 საქართველოს მთავრობის დადგენილება №175 „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“. 11/04/2018. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0>

არსებობს საქართველოს მთავრობის დადგენილებით²⁸ დამტკიცებული სტუდენტთა სოციალური პროგრამა,²⁹ რომელიც სხვადასხვა ჯგუფებისთვის ითვალისწინებს სწავლის საფასურის დაფინანსებას როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე. ქალები, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც უარესდება მხოლოდ იმის გამო, რომ ძალადობის შესახებ განაცხადეს, იძულებულნი არიან ამტკიცონ საკუთარი სოციალური სიდუხჭირე, რომ აღნიშნული პროგრამით მოსარგებლები გახდნენ.

სააგარიშო პერიოდში WISG-ის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეზე³⁰ მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ „იზიარებს განმცხადებლის სულისკვეთებას იმასთან მიმართებით, რომ ძალადობის მსხვერპლი სტუდენტები ძირითად შემთხვევაში ფინანსურად დამოკიდებულნი არიან მოძალადეებზე, რის გამოც, შესაძლოა, თავი შეიკავონ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისაგან. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, სახელმწიფომ ძალისხმევა მიმართოს ძალადობის მსხვერპლი სტუდენტების პროგრამების და სერვისების განვითარებისკენ, მათ შორის, მნიშვნელოვანია, ძალადობის მსხვერპლ სტუდენტებს შეეძლოთ სწავლის დაფინანსების მიღება სოციალურად დაუცველის სტატუსის მიუხედავად“. სახალხო დამცველმა მოუწოდა სამინისტროს, „სამომავლოდ გაითვალისწინოს ძალადობის მსხვერპლი სტუდენტების მდგომარეობა და უზრუნველყოს ისინი სწავლის დაფინანსებით“.

28 საქართველოს მთავრობის დადგენილება №395 „უმალღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“. 11/08/2017. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mes.gov.ge/uploads/395.pdf>

29 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №745. „უმალღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“. 23/08/2017. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mes.gov.ge/uploads/745.pdf>

30 იხილეთ საქმე №12

საქმე #12

ძალადობა გამოვლილი ძალევის განათლების უფლების დაცვის ხელშეწყობა

ლესბოსელი ქალი თ.ჯ. ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულია და ცხოვრობდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ თავშესაფარში. მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში განმცხადებლის მამის წინააღმდეგ. თ.ჯ. სტუდენტია და სწავლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე. მისი სწავლის საფასურის ანაზღაურებას უზრუნველყოფდა ოჯახი, მაგრამ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის შესახებ განაცხადა, მათ შეწყვიტეს თ.ჯ.-სთვის ფინანსური მხარდაჭერა. მისი მიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, ველარ განაგრძობს სწავლას და ესაჭიროება სწავლის დაფინანსება ნაწილობრივ ან სრული მოცულობით.

განმცხადებელმა შეიტყო, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გააჩნია სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მექანიზმი, 2018 წლის 5 ივლისს მიმართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით. მისთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #745 ბრძანების შესაბამისად, შეძლებდა დაფინანსების მოპოვებას თუ წარადგენდა ამონაწერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

სოციალურმა აგენტმა შეავსო მომჩივანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის ოქმი იმ მოტივით, რომ ცხოვრობდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ მის მიმართ მოხდა დისკრიმინაცია თავშესაფარში ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით და 2018 წლის 25 აგვისტოს დისკრიმინაციის დადგენის მიზნით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სახალხო დამცველი შესაძლო დისკრიმინაციის ქრილში ვერ განიხილავს სოციალური სამსახურის უარს განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაზე. თავშესაფარში ცხოვრების შემთხვევაში შეფასების ავტომატური აუცილებლობის შესახებ მსჯელობა სცილდება განსახილველი საქმის ფარგლებს“.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პერსონალურ მონაცემთა ღაცვა

ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის საქართველოს კანონით „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“³¹ გათვალისწინებულია შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რომელიც დროებითი ღონისძიებაა. თუმცა შემაკავებელი ორდერის გამოცემა არ გამორიცხავს ძალადობის განმეორების რისკს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ორდერის გამოცემის პროცესში სამართალდამცავი ორგანოს მიერ მკაცრად იქნეს დაცული კონფიდენციალობა და ყველა ნაბიჯი გადაიდგას მხოლოდ მსხვერპლთან შეთანხმებითა და ინფორმირებული თანხმობით.

შემაკავებელი ორდერის ფორმა 2018 წლის ივლისამდე მოიცავდა ინფორმაციას მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ.³² შესაბამისად, ორდერის ასლის მოძალადისთვის გადაცემის შემდგომ მისთვის ავტომატურად ხდებოდა ცნობილი მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებლის შესახებ ინფორმაცია, რაც რისკებს ქმნიდა ძალადობის განმეორების თვალსაზრისით.

WISG-ის წარმობაში არსებულ ერთ-ერთ საქმეში³³ მსხვერპლმა სთხოვა პოლიციას, რომ მოძალადე მშობლებისთვის არ გაემხილათ მისი ფაქტობრივი საცხოვრებლის შესახებ ინფორმაცია, რადგან არსებობდა რისკი, რომ საფრთხე შექმნოდათ მას და მის პარტნიორს. თუმცა პოლიციელმა მაინც შეავსო მისამართის ველი ორდერში და მისი ასლის გადაცემისთანავე, ავტომატურად მოხდა ამ ინფორმაციის გამხელა.

პოლიციელის მხრიდან კონფიდენციალობის დარღვევის გამო, განცხადებელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა. ინსპექტორმა დარღვევა არ დაადგინა, თუმცა გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება და თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „იმის გათვალისწინებით, რომ მსხვერპლი შესაძლოა იყოს აღელვებული და სათანადოდ ვერ აღიქვამდეს მონაცემთა დამუშავების საჭიროებას,

31 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. მუხლი 10 (1). ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14>

32 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 2 ივლისის ბრძანება №491, „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383571?publication=2>

33 იხილეთ საქმე №14.

მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, მნიშვნელოვანია, არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მსხვერპლისათვის მიწოდებული ინფორმაციის სიცხადეს, მონაცემთა სუბიექტის ნების თავისუფალ გამოვლენასა და მტკიცებულებების შექმნას მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირების თაობაზე. აღნიშნული ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს მონაცემთა სუბიექტის კანონიერ ინტერესების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სამინისტროს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას“.

2018 წლის 13 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით №81³⁴ განახლდა შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები, რომელიც აღარ შეიცავს მსხვერპლის ფაქტობრივი მისამართის შესახებ ინფორმაციას.

საქმე #13

ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაბირებისას კონფიდენციალობის დარღვევა

თ. ჯ. ლესბოსელი ქალია, რომელიც მშობლების მხრიდან ჰომოფობიური ძალადობის მსხვერპლი გახდა და დატოვა საცხოვრებელი ადგილი. მან 2018 წლის 19 იანვარს მიმართა პოლიციას და ფაქტის შესახებ შეტყობინებისას, მიუთითა, რომ მისი ფაქტობრივი ცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია არ გადაეცათ მისი მშობლებისთვის, რადგან შიშობდა, რომ არსებობდა ძალადობის განმეორების საფრთხე. ამის შესახებ თ. ჯ.-მ მიუთითა გასაუბრების ოქმშიც.

მოგვიანებით, 2018 წლის 22 იანვარს პოლიციის განყოფილებიდან საქმე სხვა განყოფილებაში გადაიგზავნა შემდგომი რეაგირებისთვის, ხოლო 24 იანვარს გამოიწა შემაკავებელი ორდერი თ. ჯ.-ის მშობლების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე. ორდერში პოლიციის თანამშრომლის მიერ მიეთითა თ. ჯ.-ის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და ორდერის ასლი გადაეცათ თ. ჯ.-ის მშობლებს. ამგვარად სამინისტრომ თ. ჯ.-ის თხოვნის მიუხედავად, მის მშობლებს გაუშვანა ინფორმაცია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ინსპექტორის 2018 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების თანახმად, ვერ დადგინდა მონაცემთა უკანონო გადაცემა, რადგან მსხვერპლს თავად ჰქონდა ხელი მონერილი შემაკავებელ ორდერზე. თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით, რომ „შიდოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართალდა-

34 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №81 „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილ პირების განსაზღვრის შესახებ“. 13/07/2018. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>

მცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისას მოძალადეებისათვის გასამ-
ყავნებელი მონაცემების მოცულობის შეფასებას, მსხვერპლისათვის/მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირებას, მონაცემთა გამჟღავნების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ასევე, მონაცემთა სუბიექტის ნების/ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინების შესაძლებლობას“.

ზრანსი ალაშიანაის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დასვის სარკისეზუბა

2018 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ახალი ვერსია (ICD 11), რომლის თანხმადაც ტრანს იდენტობა ამოღებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების თავიდან.³⁵ მიუხედავად ამისა, ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანისათვის სურვილის შემთხვევაში შესაძლოა აუცილებელი იყოს ფსიქოლოგიური, ჰორმონული ან ქირურგიული სამედიცინო მხარდაჭერა. ზოგიერთი ტრანსი ადამიანისთვის ყოველგვარი სამედიცინო ინტერვენციის გარეშე თავისთავად ხდება სასურველი გენდერული როლის დამოუკიდებლად მორგება, ასევე, ტრანსზიციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. სხვა ტრანს ან გენდერულად არაკონფორმულ ადამიანს კი შესაძლოა უფრო ინტენსიური სამედიცინო მხარდაჭერა დასჭირდეს. თუმცა ყველა შემთხვევაში სამედიცინო პროცედურების ჩატარება უნდა მოხდეს ადამიანის სურვილის გათვალისწინებით.

ზრანსსკავშირეკური სამედიცინო პროცედურები ზრანსი და გენდერულად არაკონფორმული ალაშიანაის ჯანმრთელობის დასვის უფლების რეალიზაციისათვის³⁶

ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სერვისები მოიცავს პირველად ჯანდაცვას, გინეკოლოგიურ და უროლოგიურ ზრუნვას, რეპროდუქციის ვერსიებს, ხმის და კომუნიკაციურ თერაპიას, ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებას (მაგ. დიაგნოსტიკას, კონსულტაციას, ფსიქოთერაპიას),

35 Transgender Europe (TGEU). "World Health Organisation moves to end classifying trans identities as mental illness". 18/06/2018. იხილეთ აქ <https://tgeu.org/world-health-organisation-moves-to-end-classifying-trans-identities-as-mental-illness/>

36 წინამდებარე თავი მომზადებულია მსოფლიოს პროფესიული ასოციაციის ტრანსგენდერთა ჯანმრთელობისთვის (WPATH) ეთიკური გაიდლაინის შესაბამისად. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.wpath.org/about/ethics-and-standards> გაიდლაინი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/ka/publications/152/>

აგრეთვე, ჰორმონულ და ქირურგიულ მკურნალობას. აღნიშნული სერვისების მიზანი უნდა იყოს სტაბილური პირადი და გენდერული კეთილდღეობის მიღწევა და სერვისის მიწოდება რამდენიმე ძირეული პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს, მათ შორის:

- სერვისების სამედიცინო საჭიროება (ნებისმიერი პროცედურა თუ სარეაბილიტაციო ან/და სხვადასხვა ტიპის სამედიცინო მეთვალყურეობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ პაციენტის საჭიროების მიხედვით);
- აუცილებელია, რომ პაციენტმა/სერვისის მიმღებმა განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა, ამა თუ იმ პროცედურის ჩატარებაზე;
- ხელმისაწვდომობა (რაც გულისხმობს ხელმისაწვდომობას პირველ რიგში ხარისხიან სამედიცინო პროცედურაზე და მეორეს მხრივ, ფინანსურ ხელმისაწვდომობას).

სამედიცინო პროცედურები შესაძლოა დაიყოს რამდენიმე ნაწილად 1. სრულიად უკუშექცევადი ჩარევები (მაგ., პუბერტატის დასაბრუნებელი ჰორმონები სქესობრივი მომნიჭების ნიშნების დადგომისათვის); 2. ნაწილობრივ უკუშექცევადი ჩარევები (მაგ., ჰორმონული თერაპია); 3. შეუქცევადი ჩარევები (მაგ., გენიტალური ქირურგია). სხვადასხვა ჩარევებისათვის საერთაშორისო თუ ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული სტანდარტების³⁷ შესაბამისად, რეკომენდირებულია გარკვეული ასაკი და მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხარდაჭერის აუცილებლობა.

ამდენად, მხარდამჭერი და სამედიცინო სერვისები ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანებისათვის შესაძლოა იყოს როგორც ფსიქო-სოციალური, ისე მხოლოდ ფსიქოლოგიური და საჭიროების/სურვილის შემთხვევაში სამედიცინო. თუმცა ყველა შემთხვევაში, ამ თემის ნევრთა მხარდაჭერა და მათი კეთილდღეობა მიიღწევა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ეროვნული მექანიზმით, რაც შესაძლოა იყოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შემუშავებული კლინიკური გაიდლაინები და პროტოკოლები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ აქვს ტრანსსპეციფიკური (მათ შორის, ტრანსი ადამიანისთვის ტრანზიციის პროცესში მხარდამჭერი პროცედურების) სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინი და

37

პროტოკოლი.³⁸ WISG-ის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისები ხელმისაწვდომია საქართველოში (არ იგულისხმება ფინანსური ხელმისაწვდომობა), დღემდე არ არსებობს კლინიკური გაიდლაინი, რომელშიც განერილი იქნებოდა სქესის ტრანზიციასთან დაკავშირებული სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებები.“³⁹

შესაბამისად, შეუძლებელია განხორციელდეს პაციენტისთვის განუყოფელი სამედიცინო მომსახურების ხარისხის სათანადო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ვგულისხმობთ კონტროლს/ზედამხედველობას, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.⁴⁰

ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ნაწილობრივ არეგულირებს ტრანსსპეციფიკურ სამედიცინო პროცედურებს, არის ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 20 თებერვლის რეკომენდაცია სქესის შეცვლის საკითხებზე.⁴¹ დოკუმენტის თანახმად, „სამედიცინო მეთვალყურეობის ხანგრძლივობა და სამედიცინო გამოკვლევების შერჩევის საკითხი წესრიგდება პროფესიული სტანდარტებით და მათი განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ“. თუმცა უცნობია რომელ სტანდარტებს და რეგულაციებს იყენებენ დარგის სპეციალისტები და რომელი სპეციალისტები მიიჩნევიან ამ საკითხებზე სამუშაოდ კომპეტენტურად, რა სპეციალიზაციის ექიმები არიან ჩართული პროცესში, არიან ესენი მხოლოდ სექსოლოგები, ფსიქიატრები და ენდოკრინოლოგები, თუ მხარდაჭერის/მკურნალობის პროცესში მონაწილეობენ სხვა დარგის სპეციალისტებიც, მაგალითად, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ა.შ. საბჭოს ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ამ კითხვებს არ პასუხობს.

ამავე რეკომენდაციაში სამედიცინო გაიდლაინების შესახებ, აღნიშნულია, რომ „საქართველოს კანონმდებლობა დღეს სქესის შეცვლის საკითხს სპეციფიკურად არ აწესრიგებს. ისევე, როგორც ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების დროს, ამ შემთხვევაშიც ექიმმა

38 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 4 ოქტომბრის წერილი № 01/6828-ს.

39 „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“. გვ: 28. WISG. თბილისი. 2015. ხელმისაწვდომია აქ: <http://women.ge/ka/publications/52/>

40 სააგენტოს შესახებ ინფორმაცია იხილეთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://rama.moh.gov.ge/>

41 ბიოეთიკის საბჭოს 2008 წლის 20 თებერვლის რეკომენდაცია „ადამიანის მიერ სქესის შეცვლის საკითხებზე“.

უნდა იხელმძღვანელოს ჯანდაცვის ზოგადი კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“⁴², საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“⁴³, საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“⁴⁴), რაც გულისხმობს ინფორმირებული თანხმობის მიღებას, კონფიდენციალობისა და სხვა ეთიკური, აგრეთვე პროფესიული სტანდარტების დაცვას“. საბჭოს რეკომენდაციის ამ ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა ინფორმირებული თანხმობის მიღების აუცილებლობა პროცედურების ჩატარებამდე.

ინფორმირებული თანხმობის სამართლებრივი განმარტება მოცემულია საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“ მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტში, რომლის თანხმად, „ბ) ინფორმირებული თანხმობა – პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვანების შემთხვევაში – პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების განევაზე მას შემდეგ, რაც მას მიწოდა ინფორმაცია: ბ.ა) სამედიცინო მომსახურების არსისა და საჭიროების შესახებ; ბ.ბ) სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელი შედეგების შესახებ; ბ.გ) სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული, პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკის შესახებ; ბ.დ) განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანხმლები რისკის და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ; ბ.ე) სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ; ბ.ვ) ამ მუხლის „ბ.ა“ – ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული ფინანსური და სოციალური საკითხების შესახებ.“⁴⁵ ინფორმირებული თანხმობის სამართლებრივ დეფინიციაში პირდაპირ არის გაწერილი, რომ ექიმმა/სამედიცინო დაწესებულებამ პაციენტს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ჩამოთვლილ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია დაბეჯითებით ითქვას ჩათვლება თუ არა საკმარისად ექიმის მიერ პაციენტისთვის მიწოდებული ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ეროვნული სტანდარტის მარეგულირებელი დოკუმენტი.

ბიოეთიკის საბჭოს ზემოთხსენებული რეკომენდაციის თანხმად, „ეთიკური და იურიდიული საკითხების გადაჭრის მიზნით, საბჭო

42 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42>

43 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11>

44 საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334?publication=20>

45 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“. მუხლი 4. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11>,

მიზანშეწონილად მიიჩნევენ სამედიცინო ეთიკის კომისიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას⁴⁶. ცხადია მისასაღმებელია, რომ სამედიცინო დაწესებულებამ იმსჯელოს ეთიკურ და იურიდიულ საკითხებზე, თუმცა პაციენტისთვის სამედიცინო დაწესებულებისა თუ ექიმისთვის მიმართვის მიზანი, რომ მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება შეუძლებელია ასეთ შემთხვევაში სრულად მიიღნეს. ნებისმიერ შემთხვევაში სქესის შეცვლის სამედიცინო პროცედურების ხარისხისა და ჩატარებული პროცედურების კანონთან შესაბამისობის კონტროლი ძალიან რთულდება ეროვნული სტანდარტის არარსებობის პირობებში. როგორც მინიმუმ, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანოა სამედიცინო მომსახურების სტანდარტის შეფასებისას, ჩატარებული პროცედურების ხარისხს სახელმწიფო სტანდარტთან შესაბამისობაში ვერ შეამონმებს⁴⁷.

გრანსი ლა გენლეკულ აკაკონფორკეული ალაქინანების ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზღუდვის საპარტოლბერივი საუბიქვლები

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით“⁴⁸. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის საჭიროების უზრუნველყოფის პოლიტიკის შერჩევისას სახელმწიფოს შესაძლებელია ჰქონდეს მოქმედების ფართო არეალი. თუმცა, თუკი სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამგვარი უზრუნველყოფის საჭიროებას, იგი ვალდებულია, აღნიშნული ქმედება განახორციელოს თანასწორ საწყისებზე, ყველა შესაძლო

46 ბიოეთიკის საბჭოს 2008 წლის 20 თებერვლის რეკომენდაცია „ადამიანის მიერ სქესის შეცვლის საკითხებზე“. საკითხი III.

47 იხილეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №01-64/6 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://rama.moh.gov.ge/res/docs/201609121533204836debuleba.pdf>

48 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 28. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=35>

გამონაკლისის გონივრულობის დასაბუთების გზით“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის №1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ II §23).

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“⁴⁹ აცალიბებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია „მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში“.⁵⁰

ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ ადამიანთა და მათ შორის, ტრანსსექსუალური ჯანმრთელობის დაცვის საკითხს ეხება „ადამიანთა უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების გამოყენების პრინციპების სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში“ (ჯოკიაკარტის პრინციპები)⁵¹ მე-17 პრინციპი ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება, რომლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება მისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. ამ უფლების ფუნდამენტური ასპექტია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ამ პრინციპის მიხედვით სახელმწიფოები ვალდებული არიან:

ა. მიმართავენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

დ. შეიმუშავებენ და განახორციელებენ პროგრამებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის, წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულების და აღნიშნულიდან გამომდინარე ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი სხვა სოციალური ფაქტორების დასაძლევად;

49 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42>

50 იქვე, მუხლი 4

51 „ჯოკიაკარტის პრინციპები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://women.ge/ka/publications/86/>

ვ. უზრუნველყოფენ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარღვივების განათლების, პროფილაქტიკის, მოვლისა და მკურნალობის შესახებ შემუშავებულ პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მრავალფეროვნების გათვალისწინებას და ასეთი პროგრამების ხელმისაწვდომობას ყველა პირისთვის დისკრიმინაციის გარეშე“.

„სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციის CM/Rec(2010)5⁵² მე-7 ნაწილის თანახმად,

„§33. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა უმაღლესი ხარისხის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემით სარგებლობა მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, ნევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების სპეციალური საჭიროებები ეროვნული ჯანმრთელობის გეგმების, მათ შორის სუიციდის პრევენციის ზომების, ჯანმრთელობის გამოკითხვების, სამედიცინო კურიკულუმების, სასწავლო კურსებისა და მასალების შექმნისას. ნევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ მხედველობაში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების სპეციალური საჭიროებები ჯანდაცვის სერვისების მონიტორინგისა და შეფასებისას.“

§34. უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები, რათა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტების თანახმად, არ მოხდეს ჰომოსექსუალობის დაავადებად კლასიფიკაცია.

§35. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის შეცვლის მომსახურების ეფექტური ხელმისაწვდომობა, რომელიც თავისუფალი იქნება არაგონივრული მოთხოვნებისაგან. სერვისების ხელმისაწვდომობა უნდა მოიცავდეს ტრანსგენდერთა ჯანდაცვის სფეროში არსებულ ფსიქოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ და ქირურგიულ მომსახურებას. არც ერთი ადამიანს არ უნდა ჩაუტარდეს სქესის შეცვლის პროცედურა მისი თანხმობის გარეშე.

52 ევროპის საბჭო. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 „წვერი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ“. 2010. ხელმისაწვდომია აქ: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807379f6

§36. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები რათა უზრუნველყონ, რომ ჯანმრთელობის და ზღვევის მიერ სქესის შეცვლის პროცედურებისთვის გამოყოფილი თანხის შემამცირებელი ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული“.

ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების ხელმისაწვდომობის უფლება ხარისხიან ჯანდაცვაზე გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლებრივი მექანიზმებით. მიუხედავად ამისა, პრობლემად რჩება ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების ეროვნული სტანდარტის მარეგულირებელი აქტების არარსებობა. აღნიშნულ პრობლემას ხაზი გაუსვა გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმაც საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომლის თანახმადაც, „ტრანსი ადამიანების ჯანდაცვის სპეციფიკური საჭიროებები და ხელმისაწვდომობა სერვისებზე, ასევე, ხელმისაწვდომობა სქესის კვლავმინიჭების სერვისებზე, მათ შორის, ფსიქოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ და ქირურგიულ სფეროში, დაურეგულირებელია“.⁵³

მან შეშფოთება გამოთქვა თავად სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის ჩატარების დამკვიდრებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც „ფსიქოლოგთა და სექსოლოგთა შეფასებაზე დაყრდნობით, ქირურგი წყვეტს არის თუ არა პაციენტი „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალი“, იმის მიხედვით პაციენტს სქესის კვლავმინიჭების პროცედურების მიღება სრულად სურს თუ მხოლოდ ნაწილობრივ. დამოუკიდებელი ექსპერტი უკიდურესად შეშფოთებულია მოცემულობით, რომ ასეთი შეურაცხმყოფელი მოთხოვნები უდევს საფუძვლად იმ მედიცინის პროფესიონალთა დისკრეციას, რომელთაც განათლების შესამჩნევი ნაკლებობა აქვთ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში. მეტიც, ექსპერტი აღნიშნავს რომ ქირურგიული ოპერაცია, რომლის შესახებ რეკომენდაცია „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალების“ მიმართ გაიცემა, იწვევს სავსებით არასაჭირო დასახიჩრებას, სტერილიზაციას, დიდი ტკივილსა და ტანჯვას.“⁵⁴ ვიქტორ მადრიგალ ბორლოზმა მოუწოდა საქართველოს სახელმწიფოს, რომ „შექმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტრანს-სპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინები“.⁵⁵

53 Human Rights Council. Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity. §78. 2019. A/HRC/41/45/Add.1 ხელმისაწვდომია აქ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuJ6IMh0KqfY09D1vUNMQw4SWO0LSiwgZcH7UQCeSdyIM71tmToyZo>

54 იქვე, §66
55 იქვე §119

საანაგრიშო პერიოდში WISG-ის წარმოებაში არსებული 5 ტრანსნი ადამიანის საქმეთა⁵⁶ შესწავლისას გამოიკვეთა მთელი რიგი გარემოებები, რომელიც შესაძლოა გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავდეს.

საქმე #14

ხუთი ტრანსნი ადამიანი რეფერალური მომსახურების კომისიის წინააღმდეგ

2018 წელს WISG-მა იმუშავა 5 ტრანსნი ადამიანის საქმეზე, რომელთაც აუცილებელი დისგნოსტიკური სამედიცინო პროცედურების დაფინანსების თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების თანახმად, „რეფერალური მომსახურების ფარგლებში“ პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების განევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილ კომისიას“, რადგან აღნიშნული პროცედურების დაფინანსება არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ყველა განმცხადებელი დროებით უშუშეგარია და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თავად გადაიხადონ სამედიცინო პროცედურების საფასური. კომისიის გადაწყვეტილებით, მას დაფინანსებაზე უარი ეთქვა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ არიან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი და დისკრიმინაციის დადგენის თხოვნით მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველს.

„რეფერალური მომსახურების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების განევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებით შექმნილ უწყებათაშორისი კომისიისთვის მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს ნებისმიერი პირი, მიუხედავად იმისა, რა ტიპის სახელმწიფო დაზღვევას ექვემდებარება იგი ან საერთოდ სარგებლობს თუ არა ამგვარი დაზღვევით. კომისია ყოველ განაცხადს განიხილავს ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით და გადაწყვეტილებას იღებს მიზანშეწონილობის კრიტერიუმით, თუმცა არსებობს პრაქტიკა, რომლითაც შეიძლება დადგინდეს, რა ტიპის სამედიცინო შემთხვევების დაფინანსება ხდება ყველაზე ხშირად. კომისია აფინანსებს ისეთი მონყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებას, როგორებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახები, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების დროს დაზარალებული მოსახლეობა, გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პირები. ამგვარი პირების მოთხოვნათა განხილვა/დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, თუ

56 იხილეთ საქმე №14

რამდენად იფარება მათი ხარჯები დაზღვევის ან სხვა სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით, დაფინანსების მეთოდი კი ითვალისწინებს გარკვეულ ფარგლებში ბენეფიციართა მხრიდან თანაგადახდის ვალდებულებას.

კომისიისათვის მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, განურჩევლად იმისა, იგი სარგებლობს საბაზისო სადაზღვევო პაკეტით თუ ნაწილობრივ ან სრულად ეზღუდება მსგავსი პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, როგორც ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და მოპასუხეთა პოზიციიდან ირკვევა, კომისია დაფინანსების მაძიებელზე დაფინანსების გაცემისას ხელმძღვანელობს მიზანშეწონილობის სტანდარტით, ითვალისწინებს რა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ გარემოებათა ერთობლიობას. საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ დაადასტურა, რომ არ არსებობს წინასწარ დადგენილი მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც დაფინანსების მაძიებელს მისცემს შესაძლებლობას, წინსწრებით განსაზღვროს საკუთარი განაცხადის დაკმაყოფილების შანსები. არსებობს მხოლოდ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სტატისტიკა, რომელიც შესაძლოა, მხოლოდ ზოგად წარმოდგენას ქმნიდეს ამგვარ კრიტერიუმებზე.


განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ რეფერალური მომსახურების კომისია ვალდებული იყო, რომ მათი განაცხადის განხილვისას მხედველობაში მიეღო მათი ინდივიდუალური თავისებურება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე, გაეთვალისწინებინა ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები და მათი უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ კომისიას პასუხი უნდა გაეცა შეკითხვაზე: ჰქონდათ თუ არა მათ საშუალება სხვაგვარად მოეპოვებინათ დაფინანსება ხსენებული სამედიცინო პროცედურებისთვის. ასევე, კომისიას უარი უნდა დაესაბუთებინა კანონით დადგენილი წესით.

სახალხო დამცველს საქმეზე გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.


2018 წლის სვანის სვანია

სამართლებრივი კონსულტაცია

2018 წელს WISG-ის იურისტებმა სულ 68 შემთხვევაზე გასცეს სამართლებრივი კონსულტაცია, რომელთაგან 38 შემთხვევა დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, აქედან, 13 ოჯახში ძალადობის შემთხვევა იყო, 9 – ძალადობის შესახებ მუქარა, 4 – ფიზიკური ძალადობა, 4 – ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, 3 – იძულებითი „ქამინგ აუთის“ მუქარა, 1 – გაუპატიურება, 1 – სექსუალური ზენოლა, 1 – ადვენება, 1 – ეკონომიკური ძალადობა.




27 შემთხვევაში სერვისის მიმღებებმა მიიღეს კონსულტაცია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. აქედან, 9 შემთხვევა წარმოადგენდა სავარაუდო დისკრიმინაციას გენდერული იდენტობისა და გამოსატვის ნიშნით, 1- დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 2 – დისკრიმინაცია სხვა საფუძველით, 3 – დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, 1 – სექსუალური შევიწროება, 1 – ალიმენტი, 1 – პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავება.




2018 წელს კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა ლგბტქი თემის წევრთა მიერ საზღვარგარეთ თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაცია. WISG-ის იურისტებმა თემის 7 წევრის გადასცეს დოკუმენტი, რომელიც საქართველოში ლგბტქი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას ეხება. მათი განმარტებით, ეს დოკუმენტი სჭირდებათ თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციის დროს და რადგან WISG-ს აქვს თემთან მუშაობის მრავალწლიანი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების გამოცდილება, შეუძლია არსებული მდგომარეობის ანალიზის მომზადება და გაზიარება.

კონსულტაციის მიმღებ პირთა წრე ასაკის მიხედვით ასე გამოიყურება: 54 კონსულტაცია გაიცა 30 წლამდე მოქალაქეზე, ხოლო 14 – 30-დან 60 წლამდე მოქალაქეზე.




კონსულტაციის მიმღებ პირთა წრე სქესის მიხედვით ასე გამოიყურება: 32 კონსულტაცია გაიცა მამრობითი სქესის მოქალაქეზე, ხოლო 38 – მდედრობითი სქესის მოქალაქეზე. ცხადია ამ რიცხვში ერთიანდებიან ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანებიც.



სამართლებრივი დახმარება

WISG-ის იურისტებმა 2018 წელს იმუშავეს სისხლის სამართლის 14, ადმინისტრაციული სამართლის 12 და სამოქალაქო სამართლის 11, სულ 37 საქმეზე.



2017 წლის ანგარიში უსული ზოგიერთი საქმის შესახებ

წინამდებარე თავი მოიცავს ინფორმაციას 2017 წლის სამართალწარმოების ანგარიშში⁵⁷ შესული ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმის მიმდინარეობის შესახებ.

ბენღარის სამართლებრივი პლიარაბა

2018 წლის 6 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოახდინა კომუნიკაცია 2017 წელს გაგზავნილი ტრანსიკაცების საქმესთან დაკავშირებით და ისინი ერთ საქმედ გააერთიანა.⁵⁸

WISG-მა უზრუნველყო განმცხადებლების შეხვედრა გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტთან სოგის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ, ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზთან,⁵⁹ რომელიც საქართველოში 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იმყოფებოდა. დამოუკიდებელმა ექსპერტმა საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში საფუძვლიანად გაანალიზა ის დაბრკოლებები, რომლებიც ტრანს ადამიანებს ექმნებათ გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არარსებობის პირობებში. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებებისთვის არსებული მოთხოვნები (მათ შორის სქესის კვლავინიჭების ქირურგიული ოპერაცია) არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან და წარმოადგენს მათ მიმართ არაადამიანურ და დისკრიმინაციულ მოპყრობას.⁶⁰ ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზმა მოუწოდა

57 https://women.ge/data/docs/publications/WISG-LGBTI-Persons-and-intersectional-discrimination_WISG_2018_GEO&ENG.pdf

58 Applications nos. 57864/17 and 79087/17, A.D. against Georgia and A.K. against Georgia, lodged on 1 August 2017 and 10 November 2017 respectively, available at: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-186564>

59 დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ: <https://women.ge/ka/news/newsfeed/247/>

60 Human Rights Council. Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity. §67. 2019. A/HRC/41/45/Add.1 ხელმისაწვდომია აქ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuJ6IMh0KqfYO9D1vUNMQv4SWO0LsiwgZcH7UQCeSdyIM71tmToyZo>

საქართველოს სახელმწიფოს, რომ „უზრუნველყოს ადამიანის თვითგამორკვევაზე დაფუძნებული გენდერის სამართლებრივი აღიარების ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნა, უფლებამძლავრად მოთხოვნების გაუქმება და არაბინარული იდენტობის აღიარება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი მოქალაქეებისთვის“.⁶¹

ევროპულმა სასამართლომ კონკრეტული შეკითხვები დაუსვა საქართველოს სახელმწიფოს ევროპული კონვენციის მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევასთან კავშირში. საქართველოს სახელმწიფოს პოზიციას აპლიკანტებმა 2019 წლის 7 მარტს უპასუხეს. ამჟამად, აპლიკანტები სასამართლოს გადანყვეტილებას ელოდებიან.⁶²

ლუიზა ლაფერაქე სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სემხაფკრო აკადემიის წინააღმდეგ⁶³

ლუიზა ლაფერაქემ კვლავ მიიღო მონაწილეობა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ 2018 წლის ივლისში გამოცხადებულ ღია კონკურსში ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთათვის. მან საკონკურსო განაცხადი წარადგინა ფერწერის მიმართულებაზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის დარგობრივი კომისიის 2018 წლის 12 აგვისტოს სხდომის ოქმის #3 თანახმად, ლუიზა ლაფერაქისა და კიდევ ორი კანდიდატის განაცხადი შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა კომისიამ იმსჯელა

61 იქვე, §90

62 საქმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 2017 წლის სამართალწარმოების ანგარიშში „ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები“. გვ: 52. WISG. თბილისი. 2018. ხელმისაწვდომია აქ: <https://women.ge/ka/publications/184/>

63 საქმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 2017 წლის სამართალწარმოების ანგარიშში „ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები“. გვ: 43. WISG. თბილისი. 2018. ხელმისაწვდომია აქ: <https://women.ge/ka/publications/184/>

მხოლოდ სხვა ორ კანდიდატთან დაკავშირებით. სხდომის ოქმში არ მოიპოვება ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ თუ რატომ ეთქვა ლუიზა ლაფერაძეს უარი აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე.

ლუიზა ლაფერაძემ 2018 წლის 1 ოქტომბერს სარჩელი აღძრა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის დარგობრივი კომისიის N3 სხდომის ოქმი და დაევალოს მოპასუხეს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ამასთან, დადგენილი იქნეს დისკრიმინაციის ფაქტი განსხვავებული შეხედულების, მათ შორის პოლიტიკური შეხედულების გამო და დაევალოს მოპასუხეს მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

შეჯამება

წარმოდგენილი ანგარიშში WIGS-ის მიერ 2018 წელს წარმოებული საქმეების მაგალითზე ნათელია, რომ ლგბტქი ადამიანების თანასწორობისთვის მთელი რიგი სისტემური რეფორმებია გასატარებელი.

აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ლგბტქი ადამიანების საჭიროებების უგულვებლყოფის ნაცვლად, ადამიანის უფლებების პოლიტიკის დოკუმენტებში მოახდინოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ინტეგრირება და საზოგადოებაში არსებული სტიგმის წინააღმდეგ თანმიმდევრული და მტკიცებულეებზე დაფუძნებული პოლიტიკა გაატაროს.

ტრანსი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს გენდერის სამართლებრივი აღიარების არსებული მექანიზმი და ჩანაცვლდეს თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული მოდელით. ამასთანავე, აუცილებელია, რომ დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები ტრანსი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიმართულებით და განხორციელდეს ეროვნული სტანდარტების შემუშავება უფლებამოსილი უწყებების მიერ თემის უშუალო მონაწილეობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თემის წინაშე დგას უმწვავესი პრობლემები, რომელიც პირველ რიგში საფუძვლიან კვლევას და მიზანმიმართულ ინტერსექტორულ მუშაობას საჭიროებს შესაბამისი უწყებების მხრიდან.

გამოყენებული მასალები

ბახტაძე ე. „ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები“, WISG. თბილისი. 2018. ხელმისაწვდომია აქ:

<https://women.ge/ka/publications/184/>

აღდგომელაშვილი ე., გვიანიშვილი ნ., თოდუა თ., რატიანი ც. „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“, WISG. თბილისი. 2015. გვ: 34. ხელმისაწვდომია აქ:

<http://women.ge/publications/52/>

ევროპის საბჭო. „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა“. 2018. ხელმისაწვდომია აქ:

<https://rm.coe.int/hate-crime-hate-speech-and-discrimination-in-attitudes-and-awareness-g/16808ef62b>

მსოფლიოს პროფესიული ასოციაცია ტრანსგენდერთა ჯანმრთელობისთვის. „ზრუნვის სტანდარტები – ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული პირების ჯანმრთელობისთვის“. ხელმისაწვდომია აქ:

<http://women.ge/publications/152/>

ჯოკიაკარტის პრინციპები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ. ხელმისაწვდომია აქ:

<https://women.ge/ka/publications/86/>

ევროპის საბჭო. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 ნევირი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ. ხელმისაწვდომია აქ:

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807379f6

Human Rights Council. Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity. 2019. A/HRC/41/45/Add.1 ხელმისაწვდომია აქ:

<https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuJ6IMh0KqfY09D1vUNMQv4SWO0LSiwgZcH7UQCeSdyIM71tmToyZo>

საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია აქ:

<https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=35>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.
ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=20>

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=4>

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14>

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42>

საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11>

საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334?publication=20>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №182 „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“. 17/04/2018. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №175 „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“. 11/04/2018. ხელმისაწვდომია აქ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №395 „უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“.

11/08/2017. ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.mes.gov.ge/uploads/395.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №745. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე. 23/08/2017. ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.mes.gov.ge/uploads/745.pdf>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №491 „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“. 2/07/2014. ხელმისაწვდომია აქ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383571?publication=2>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №81 „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“. 13/07/2018. ხელმისაწვდომია აქ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-64/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

20/12/2011. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<http://rama.moh.gov.ge/res/docs/201609121533204836debuleba..pdf>


ბიოეთიკის საბჭოს რეკომენდაცია „ადამიანის მიერ სქესის შეცვლის საკითხებზე“. 20/02/2008.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/625,640, 14/04/2016. ხელმისაწვდომია აქ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3263731?publication=0>

Case of Pretty v. The United Kingdom, (Application no. 2346/02), 29/07/2002. ხელმისაწვდომია აქ:

<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-60448>



ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს ლგბტქი ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტები და მათზე რეაგირების პრაქტიკები შესაბამისი უწყებების თუ სასამართლოს მიერ. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო ე. წ. „იძულებითი ქამინგ აუთის“ შემთხვევები და ტრანსი ადამიანების პერსონალურ მონაცემთა უნებართვო გავრცელება. რიგ შემთხვევებში ტრანსმა ადამიანებმა მიმართეს შესაბამის უწყებებს და სათანადო სამართლებრივი შედეგიც დადგა.

The report aims to represent facts of infringement of LGBTQI people's rights and practices on those cases by the respective authorities or from the judiciary. During the accounting period, the so called 'outing' cases and unlawful processing of personal data of trans persons were particularly relevant. In several cases, trans people appealed to corresponding authorities and appropriate legal outcomes were achieved.